საქართველო

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი

№ 4

30 იანვარი 2023წ

ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109

ტელ. 0 491 24 45 02

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ მანუჩარ რობაქიძეს

2022 წლის ფინანსური ანგარიში

სსიპ თვითმმართველი თემის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის #45 443 ბრძანებით „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი"-ის დამტკიცებული წესდების თანახმად მუნიციპალური ცენტრის ძირითადი მიმართულებებია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებათა გავრცელების პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემების შეყვანა, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.

„ტუბერკულოზის კონტროლის შესხებ" საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. (დადასტურებული მგბ+ შემთხვევების კონტაქტში მყოფი პირების კვლევა და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობაში ჩართვა, მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ჩაბმის მიზნით.

C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების (სკრინინგი) მხარდაჭერა მოსახლეობის ინფორმირებულობის და მობილიზაციის გზით.

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობა,

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების (ვაქცინების, სტრატეგიული შრატების, ტესტების) მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის.

ასევე ცენტრის ძირითადი მიზანი და ამოცანაა იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში ცალკეული კომპონენტის შემცველი ვაქცინით აცრის 97-98 %-იანი მოცვის მიღწევა და გადამდები დაავადებების შემცირება ჩატარებული პრევენციული ღონისძიებებით.

აღნიშნულ ამოცანას ცენტრმა წარმატებით გაართვა თავი და პროფილაქტიკური აცრების მოცვის მაჩვენებელმა შეადგინა 98%.

2022 წლის იანვარ- თებერვლის თვეში ეპიდემიოლოგიურ სიტუაციის გამო მუნიციპალური ცენტრი კვლავ ახორციელებდა COVID-19- ის დიაგნოსტიკას აღებულ იქნა და გადაიგზავნა დკსჯეც- ში შემდგომი დიაგნოსტირებისათვის 2347 ნიმუში. ყოველდღიური კონტაქტი იყო დამყარებული როგორც ინფიცირებულ პაციენტებთან ასევე მათთან კონტაქტში მყოფებთან .

ცენტრის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს თერჯოლის მუიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს ბიუჯეტის გეგმით გამოყოფილი: 1. მიზნობრივი სუბსიდირება რომელიც შეადგენს 79000-00 ლარს.2.საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე რომელიც 49300-00 ლარს შეადგენს. სულ მუნიციპალურმა დაფინანსებამ 2022 წელში 128300-00 ათასი ლარი შეადგინა.

საკუთარი სახსრები, რომელმაც 2022 წელს შეადგინა 39121-00 ათასი ლარი მ.შ. აქედან შრომის ანაზღაურებაში გაცემულ იქნა: 1.(„ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა“ 8108-00 ლარი. ხელშეკრულება #97. 14.01.2022წ. 2.COVID-19 დიაგნოსტიკა 30725-00. ლარი. საკუთარი შემოსავლების ნაშთი 01.01.2023 სათვის შეადგენს 2288-00ლარს

ცენტრს ემსახურება შტატით განსაზღვრული 16 თანამშრომელი. სახელფასო ფონდმა 2022წ.მუნიციპალური პროგრამით შეადგინა 121245-00 ლარი. მ/შორის 3334-00 ლარი--პრემია. სხვა საქონელი და მომსახურეობამ შეადგინა 6260-00 ლარი. ოფისის ხარჯი შეადგენს-1660-00 ლარს.

ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი სისტემატიურად განახორციელებს მასზე დაკისრებული მნიშვნელოვანი მიმართულებების განხორციელებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

ცენტრის დირექტორი /თ.არჯევანიძე/